



შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო
უნივერსიტეტის

პროფესორის თანამდებობაზე მყოფ პირთა ატესტაციის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისი

2019

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში-სასწავლო უნივერსიტეტი) პროფესორის თანამდებობაზე მყოფ პირთა ატესტაციის დებულება მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და სასწავლო უნივერსიტეტის მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად

- პროფესორის ატესტაცია - სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ნორმატიული აქტების მიხედვით, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რექტორის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტის თანახმად:

I. ზოგადი ნაწილი :

1.1 ატესტაცია - პროფესორის აკადემიური საქმიანობის, პროფესიული უნარებისა და დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებული მოთხოვნების შესაბამისობის დადგენა;

1.2. ატესტაციის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) პირველი ეტაპი - პროფესორის პირადი საქმეების შესწავლა-დამუშავება;

ბ) მეორე ეტაპი - პროფესორთან ინდივიდუალური გასაუბრება;

1.3. საატესტაციო კომისია უფლებამოსილია თუკი ატესტაციის სხდომას ესწრება წევრების ნახევარზე მეტი. საატესტაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით;

1.4. ატესტაციის თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას საატესტაციო კომისია სხდომის ოქმის ფორმით წარუდგენს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს შემდგომი რეაგირებისათვის;

1.5 სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას ატესტაციის თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ;

II. ატესტაციის პირველი ეტაპი - პროფესორის პირადი საქმის შესწავლა/დამუშავება;

2.1. ატესტაციის პირველ ეტაპზე საატესტაციო კომისია დეტალურად შეისწავლის პროფესორის 4 წლიანი პროფესიული განვითარების ციკლს, კერძოდ:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, სტატიები,

სახელმძღვანელოები; ბ) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში

მონაწილეობა;

2.2. ატესტაციის პირველ ეტაპს წარმატებით გადალახავს ის კონკურსანტი, რომელსაც 4 წლიანი მოღვაწეობის პერიოდში:

- ა) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები პროფილის მიხედვით;
- ბ) სამეცნიერო სამი სტატია გამოქვეყნებული საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში;
- გ) მიღებული აქვს მონაწილეობა სულ მცირე 3 სამეცნიერო კონფერენციაში;

III. ატესტაციის მეორე ეტაპი - გასაუბრება

- 3.1. გასაუბრების ეტაპზე მოწმდება პროფესორის მიერ გამოვლენილი პროფესიული „ცოდნის დონე“, მათ შორის კომპიუტერული უნარ-ჩვევების პრაქტიკულად ფლობა;
- 3.2. გასაუბრება ჩაითვლება გავლილად თუ კანდიდატი მიიღებს დადებით შეფასებას - საატესტაციო კომისიის წევრთა უბრალო უმრავლესობით.